

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე: „ნორმატიული აქტების შესახებ“
საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

თანამედროვე და ეფექტური სასაზღვრო უწყების ჩამოყალიბება. თანამედროვე სტანდარტებიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ თვისი კომპეტენციის ფარგლების გათვალისწინებით ჩამოყალიბოს და დანერგოს ჯანსაღი დისციპლინური, სამსახურის დაგეგმვისა და შიდა სტრუქტურებისადმი ფუნქციონალური მოვალეობათა გადანაწილების სწორი პრაქტიკა. რაც აუცილებლობას მოითხოვს ამ მიმართულებით შექმნილ სამართლებრივ აქტებს მიეცეს ნორმატიული ხასიათი და მასში ჩამოყალიბებული დებულებები აღიჭურვოს სავალდებულო ხასიათის მქონედ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში მიმდინარე რეფორმა, რომლის მიზანს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება წარმოადგენს. კანონპროექტი მიზნად ისახავს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამართალდამცავ სტრუქტურად ჩამოყალიბების პროცესში, მართვის გაუმჯობესებას, მასზე დაკისრებული ამოცანების სრულყოფილად განხორციელებას, სასაზღვრო უწყების ევროპული და დასავლური სტანდარტების სამსახურად ჩამოყალიბებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს სასაზღვრო პოლიციას უფლება ენიჭება გამოსცეს ნორმატიული აქტები რომლებიც დაარეგულირობენ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურაში წარმოშობილი სამართლებრივ საკითხებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება ამ კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპები):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.